ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1014252

ნომერი: AR1172660

თარიღი : 06.11.2013

გაცემის თარიღი : 26.11.2013

გაცნობის თარიღი : 27.11.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "ჩალიპირები" / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "ჩალიპირები" , ნაკვეთი 34/692 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლელი აბულაძე პ/ნ 01030040768
- თბილისი მ.წინამძღვრიშვილის ქ. N 162

ორგანიზაცია:
- შპს "ომეგა მოტორსი" კოდი: 245433231

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 12 მარტის N557038 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 25 ოქტომბერს #AR1172660 განცხადებით მომართა ლელი აბულაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2013 წლის 12 მარტს გამოცემული #557038 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2013 წლის 12 მარტის #557038 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, „ჩალიპირები“, ნაკვეთი 34/692, შ.პ.ს „ლორუსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ოფისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად, აისახა სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: შეცდომით იქნა დათვლილი საპროექტო შენობის განაშენიანების ფართობი, საერთო ფართობი და სამშენებლო მოცულობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ლელი აბულაძის 2013 წლის 25 ოქტომბრის NAR1172660 განცხადება.

2. შევიდეს ცვლილება ქ.თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 12 მარტის N557038 ბრძანებაში. კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში განაშენიანების ფართობი, საერთო ფართობი და სამშენებლო მოცულობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- განაშენიანების ფართობი: 434 კვ.მ
- საერთო ფართობი: 527.27 კვ.მ
- სამშენებლო მოცულობა: 3496.15 მ3

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 12 მარტის N 557038 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.